MES 0 23 0001244063

27/09/2023

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების“ მე-18 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2023 წლის 14 სექტემბერს 12:00 საათზე**. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/86329250395?pwd=S3d6MjZHVkI0SWE0Z3MzVE9nOURoZz09
Meeting ID: 863 2925 0395
Passcode: 752922

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:
ნინო ბაბალაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე);
გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საბჭოს წევრი);
მარიამ ქუჩულორია - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
ნინოველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი (საბჭოს წევრი);
ნატო მებურიშვილი - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);
თეა გულუა - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, ცოდნის მართვის და ინოვაციების სპეციალისტი (საბჭოს წევრი);

მარიამ ნოზაძე - სსიპ - აწარმოე საქართველოში ადამიანური რესურსების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
მარიამ შოთაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის კოლეჯების კოორდინაციის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
სალომე ქუთათელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
ნინო საათაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს სილამაზის აკადემია დანილი
მაია ჩხენკელი - დირექტორი
თამარ შარაშენიძე - სწავლების მიმართულების ხელმძღვანელი
შპს საერთაშორისო ტრენინგ ცენტრი გენეზისი
ნინო ფირცხალაიშვილი - გენერალური დირექტორი
მანანა მახარაშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი
ინგა წყაროზია - სასწავლო პროცესის მენეჯერი

ა(ა)იპ ჭიათურის მულტიფუნქციური ცენტრი
ნატალია პატარიძე - დირექტორი

პროფესიულიმომზადებისპროგრამებისადაპროფესიულიგადამზადებისპროგრამების დარგის ე ქსპერტები:
ნინო ბოკუჩავა
თეა ხარაზიშვილი
ანა მუშეგიანი
ნინო ასკურავა
ნათია არაბიძე

საბჭოს სხდომა დაიწყო 12:06 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს,

რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წინადადებით, ვინაიდან საბჭოს მდივანი მარიკა ზაქარეიშვილი არ ესწრებოდა სხდომას, საბჭოს მდივნის ფუნქცია შეესრულებინა საბჭოს წევრ გიორგი გამყრელიძეს, რაზეც გიორგი გამყრელიძემ თანხმობა განაცხადა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით, შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით არ იყო.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. შპს სილამაზის აკადემია დანილის „გრძელი თმის დიზაინი (ვარცხნილობა)“ /01676/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
2. შპს სილამაზის აკადემია დანილის „თმის შეღებვა“ /01678/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
3. შპს სილამაზის აკადემია დანილის „ვიზაჟის მომსახურება“ /01677/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
4. შპს სილამაზის აკადემია დანილის „ქალის თმის შეჭრა“ /01720/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
5. შპს სილამაზის აკადემია დანილის „კაცის თმის შეჭრა“ /01679/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
6. შპს სილამაზის აკადემია დანილის „მანიკურ-პედიკური“ /01680/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
7. შპს საერთაშორისო ტრენინგ ცენტრ გენეზისის „ესთეტიკური კოსმეტოლოგია“ /01717/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
8. შპს საერთაშორისო ტრენინგ ცენტრ გენეზისის „ლაზერული ეპილაცია“ /01718/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
9. შპს საერთაშორისო ტრენინგ ცენტრ გენეზისის „დერმოპიგმენტაცია“ /01716/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
10. ა(ა)იპ ჭიათურის მულტიფუნქციური ცენტრის „ენერგიის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მონტაჟი (მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟი)“ /01673/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს სხდომა წარიმართა დღის წესრიგის მიხედვით

საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ბაბალაშვილმა მიმართა მაყვალა დარსანიას, რომ ექვსივე პროგრამის პრეზენტაცია წარმოედგინა, ხოლო აღნიშნული საკითხების წარმოდგენის შემდეგ საბჭო იმსჯელებდა და მიიღებდა გადაწყვეტილებას.

1. შპს სილამაზის აკადემია დანილის „გრძელი თმის დიზაინი (ვარცხნილობა)“ /01676/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

2. შპს სილამაზის აკადემია დანილის „თმის შეღებვა“ /01678/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

3. შპს სილამაზის აკადემია დანილის „ვიზაჟის მომსახურება“ /01677/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

4. შპს სილამაზის აკადემია დანილის „ქალის თმის შეჭრა“ /01720/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

5. შპს სილამაზის აკადემია დანილის „კაცის თმის შეჭრა“ /01679/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

6. შპს სილამაზის აკადემია დანილის „მანიკურ-პედიკური“ /01680/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადებს, პროგრამებს და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს.
პრეზენტაცია ექვსივე პროგრამასთან მიმართებაში საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა მაყვალა დარსანიამ, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 08 აგვისტოს №973905; 973903; 973901; 973899; 973910; 974926 ბრძანებების საფუძველზე, 23 აგვისტოს შეფასდა პროფესიული მომზადების პროგრამები - ვიზაჟის მომსახურება და ქალის თმის შეჭრა (დარგის ექსპერტი ნინო ბოკუჩავა), 24 აგვისტოს - თმის შეღებვა და მანიკურ-პედიკური (დარგის ექსპერტები: ნინო ბოკუჩავა და თეა ხარაზიშვილი), ხოლო 25 აგვისტოს - გრძელი თმის დიზაინი (ვარცხნილობა) და კაცის თმის შეჭრა (დარგის ექსპერტი - ნინო ბოკუჩავა).
ვიზიტის დროს გადამოწმდა პროფესიული მომზადების პროგრამების სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი. განხორციელდა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან. ვიზიტი წარიმართა კოლეგიალურ და თანამშრომლობით გარემოში.
მაყვალა დარსანიამ განაცხადა, რომ წარმოდგენილ პროგრამებში ხარვეზები არ დაფიქსირებულა, სამივე სტანდარტის არცერთი ქვესტანდარტი არ არის დარღვეული.
მან ისაუბრა წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამების პარამეტრებზე და აღნიშნა, რომ აღნიშნული პროგრამების ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა მე-3, სწავლების ენა - ქართული, განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, ბურძგლას ქ. 65.
პროფესიული მომზადების პროგრამის „გრძელი თმის დიზაინი (ვარცხნილობა)“ ხანგრძლივობა კვირებში - 7 კვირა, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა 10.
პროფესიული მომზადების პროგრამის „ვიზაჟის მომსახურება“ ხანგრძლივობა კვირებში - 8 კვირა, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა 8.

პროფესიული მომზადების პროგრამის „თმის შეღებვა“ ხანგრძლივობა კვირებში - 10 კვირა, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა 10.
პროფესიული მომზადების პროგრამის „კაცის თმის შეჭრა“ ხანგრძლივობა კვირებში - 6 კვირა, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა 10.
პროფესიული მომზადების პროგრამის „მანიკურ-პედიკური“ ხანგრძლივობა კვირებში - 11 კვირა, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა 9.
პროფესიული მომზადების პროგრამის „ქალის თმის შეჭრა“ ხანგრძლივობა კვირებში - 10 კვირა, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა 10.
შემდეგ მან მოკლედ ისაუბრა ყველა ქვესტანდარტთან მიმართებაში.
1.1 ქვესტანდარტთან მიმართებაში მან აღნიშნა, რომ პროგრამები უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების / მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს, დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტაცია/მტკიცებულებები ამასთან დაკავშირებით, კერძოდ ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ინფორმაციით პროგრამის საჭიროების დასაბუთების შესახებ; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2021 წლის საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზით; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2020 წლის კვლევით უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის შესახებ.
1.2 ქვესტანდარტთან მიმართებაში მან განაცხადა, რომ პროგრამების სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს და არ არის შეცდომაში შემყვანი.
1.3 სტანდარტთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამების მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.
რაც შეეხება 1.4 ქვესტანდარტს, პროგრამებზე დაშვების წინაპირობები იდენტურია ექვსივე პროგრამაზე, პროგრამებზე დაშვების წინაპირობაა: განათლება: საბაზო; აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება.
აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შემოწმების გზით. გასაუბრება აპლიკანტებთან ხორციელდება მოტივაციური ინტერვიუს კითხვების მეშვეობით. მაქსიმალური საკონკურსო ქულაა - 18, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 6 ქულა. საკონკურსო კომისია და კონკურსის ჩატარების თარიღი განისაზღვრება აკადემიის დირექტორის ბრძანებით.
1.6 ქვესტანდარტთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით და კომპეტენციით, მსმენელს აძლევს საქმიანობის სფეროს შესაბამის თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს. თუმცა პროფესიული მომზადების პროგრამების შემთხვევაში - ვიზაჟის მომსახურება, თმის შეღებვა, ქალის თმის შეჭრა, კაცის თმის შეჭრა გაიცა რეკომენდაცია სწავლის შედეგების ფორმულირების დაკორექტირების შესახებ.
1.7 ქვესტანდარტთან დაკავშირებით მაყვალა დარსანიამ განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამების ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია, სწავლება განხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში - შპს სილამაზის აკადემია დანილში.
რაც შეეხება 1.8 ქვესტანდარტს, მან განაცხადა, რომ სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, თუმცა სასურველია სწავლების მეთოდები იყოს მრავალფეროვანი და სწავლების მეთოდებს დაემატოს: ინსტრუქტაჟი, შემთხვევის ანალიზი, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე. აღნიშნული რეკომენდაცია ეხება ხუთ პროგრამას, გარდა „მანიკურ-პედიკურის“ პროფესიული მომზადების პროგრამისა.
1.9 ქვესტანდარტთან მიმართებაში მაყვალა დარსანიამ განაცხადა, რომ პროგრამის განხორციელებისას გამოიყენება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება და ორიენტირებულია პროფესიული პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე, რასაც პროგრამის მეტი წილი ეთმობა. აღნიშნული ეფუძნება შპს სილამაზის აკადემია დანილის ინფრასტრუქტურას, სათანადო

აღჭურვილობის მქონე სასწავლო ფართს და მაღალი კომპეტენციის მქონე დარგის სპეციალისტების მიერ პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას.
1.10 ქვესტანდარტთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ შეფასების დროს გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება, განმსაზღვრელი შეფასება ხორციელდება პროგრამის დასრულების შემდეგ. აკადემიას შემუშავებული აქვს შეფასების ინსტრუმენტები, რომელსაც იყენებს მსმენელის შეფასების დროს.
2.1 ქვესტანდარტი - პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, თითოეული პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 2-2 განმახორციელებელი პირი. ვიზიტის დროს განხორციელდა გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა მათი კვალიფიციურობა დარგის მიმართულებით.
2.2 და 2.3 ქვესტანდარტთან დაკავშირებით, რაც ეხება მატერიალურ და სასწავლო რესურსს, მან განაცხადა, რომ პროგრამები უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, აკადემია განთავსებულია შენობის მეორე სართულზე, პროგრამებისთვის განსაზღვრულია სასწავლო გარემოები (AC), „ვიზაჟის მომსახურების“ და „მანიკურ-პედიკურის“ პროფესიული მომზადების პროგრამებისთვის არის ცალ-ცალკე სასწავლო გარემო, რომელიც აღჭურვილია პროგრამების განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსით, ხოლო თმის მომსახურების პროგრამებისთვის დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ერთი AC გარემო, ვიზიტის დროს დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუირების დროს დადგინდა, რომ პირველ ეტაპზე აკადემია აპირებს მხოლოდ ორი პროგრამის - „თმის შეღებვა“ და „თმის შეჭრა“ განხორციელებას.
სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო-სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი მტკიცებულებებით, კერძოდ დაცვითი მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით შპს „შერიფთან“; გარე მომსახურების ხელშეკრულებით შპს „ლიდ სეიფტთან“, სახანძრო ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა/ანგარიშით.
დაწესებულება ფუნქციონირებს საერთაშორისო აკადემიის “პივოტ პოინტის“ ყოფილ ბაზაზე.
რაც შეეხება 3.2 ქვესტანდარტს, იურიდიული პირი აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან, რაც დასტურდება დოკუმენტით - პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების დამტკიცების, განხორციელებისა და მსმენელთა ჩარიცხვის წესი და პირობები; წარმოდგენილი მოტივაციური ინტერვიუს კითხვარებით.
3.4 ქვესტანდარტთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს, რაც დასტურდება ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, იმოქმედე“ ციკლის (PDCA) პრინციპით. დოკუმენტით - ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები; კითხვარებით.
მესამე სტანდარტის 3.3; 3.5; 3.6 და 3.7 ქვესტანდარტები, გამოცდილების არარსებობის გამო არ შეფასდა.
  პრეზენტაციის დასრულების შემდეგ დარგის ექსპერტებმა ნინო ბოკუჩავამ და თეა ხარაზიშვილმა თავისი მხრიდან აღნიშნეს, რომ დაწესებულაში ვიზიტი წარიმართა ნაყოფიერად, ვიზიტი იყო თანამშრომლობითი და გაცემული რეკომენდაციების გარდა აკადემიაში ყველა პირობა არის დაცული იმისთვის, რომ აღნიშნული პროგრამები წარმატებით განხორციელდება.
ნინო ბოკუჩავამ ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულება ფუნქციონირებს საერთაშორისო აკადემიის “პივოტ პოინტის“ ყოფილ ბაზაზე, სილამაზის საერთაშორისო აკადემიის ბრენდის ფრანჩაიზი დაწესებულებამ 2013 წლის ზაფხულში შეიძინა, ხოლო 2014 წლის იანვრიდან პირველი ჯგუფების მიღება დაიწყო. პივოტ პოინტი არის: 50 წლიანი სწავლების გამოცდილება

სილამაზის მიმართულებით 3000-ამდე სკოლაში მსოფლიოში, 30000-ზე მეტი კურსდამთავრებულით, ყოველწლიურად 80-ამდე ქვეყანაში; სწავლების ინტერაქტიული მეთოდები, მრავალფეროვანი სასწავლო და მატერიალური რესურსით, რომელიც ასევე წარმოდგენილია საქართველოს წარმომადგენლობაში; პანდემიის პერიოდმა მკვეთრად შეცვალა აკადემიის განვითარების გეგმა, მაგრამ დარჩნენ განმახორციელებელი პედაგოგები, რომელთაც სწორედ ზემოხსენებულ ამერიკულ აკადემიაში გაიარეს სწავლება, როგორც პროფესია, ასევე პედაგოგიკა და წარმატებით მუშაობენ დაწესებულების პირველ სართულზე განთავსებულ სილამაზის სალონში; თვით სალონიც დამატებით წარმოადგენს რეალურ სამუშაო გარემოს მსმენელებისთვის.
როგორც ზემოთ აღინიშნა, მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაცია აქამდე არ ახორციელებდა პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებს, ორგანიზაციას აქვს გამოცდილება სასერტიფიკატო პროგრამის განხორციელების, აქედან გამომდინარე ორგანიზაციამ დააარსა სილამაზის აკადემია დანილი, და გადაწყვიტა ბაზრისთვის მიეწოდება პირები, რომლებიც სწავლების დასრულების შემდეგ აიღებდნენ სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს. ასევე, ორგანიზაციას დაგეგმილი აქვს წარმოდგენილი პროგრამების გარდა, შეიმუშაოს შემდეგ ეტაპზე პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამები, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ იურიდიული პირი აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მისიას და როლს შესაბამის დარგის განვითარებაში.
საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ბაბალაშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ გაეთვალისწინებინათ ის რეკომენდაციები და შესაბამისად დაეკორექტირებინათ პროგრამები, მან მიმართა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს ნანი დალაქიშვილს, განემარტა, თუ როგორ მოხდება ეს პროცედურულად, რაზეც ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ წერილით უნდა მომართოს ცენტრს, ცენტრის თანხმობის შემდეგ, ელ. სისტემაში შესაბამისად გაასწორებს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა.
აკადემიის წარმომადგენელმა თამარ შარაშენიძემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტებს, და დასძინა, რომ დარგის ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციებს აკადემია აუცილებლად გაითვალისწინებდა. მან მადლიერება გამოხატა იმასთან დაკავშირებით, რომ აკადემიას ეძლევა საშუალება მოერგოს ბაზარს, მისცეს მსმენელს ხარისხიანი განათლება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სილამაზის აკადემია დანილის „გრძელი თმის დიზაინი (ვარცხნილობა)“ /01676/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს

სილამაზის აკადემია დანილს (ს/კ: 404574821) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - გრძელი თმის დიზაინი (ვარცხნილობა) /01676/ **(დანართი 1).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სილამაზის აკადემია დანილის „თმის შეღებვა“ /01678/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს სილამაზის აკადემია დანილს (ს/კ: 404574821) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - თმის შეღებვა /01678/ **(დანართი 2).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სილამაზის აკადემია დანილის „ვიზაჟის მომსახურება“ /01677/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს სილამაზის აკადემია დანილს (ს/კ: 404574821) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ვიზაჟის მომსახურება /01677/ **(დანართი 3).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სილამაზის აკადემია დანილის „ქალის თმის შეჭრა“ /01720/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს სილამაზის აკადემია დანილს (ს/კ: 404574821) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ქალის თმის შეჭრა /01720/ **(დანართი 4).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სილამაზის აკადემია დანილის „კაცის თმის შეჭრა“ /01679/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს სილამაზის აკადემია დანილს (ს/კ: 404574821) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - კაცის თმის შეჭრა /01679/ **(დანართი 5).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სილამაზის აკადემია დანილის „მანიკურ-პედიკური“ /01680/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს სილამაზის აკადემია დანილს (ს/კ: 404574821) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - მანიკურ-პედიკური /01680/ **(დანართი 6).**

საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ბაბალაშვილმა მიმართა სალომე ქუთათელაძეს, რომ სამივე პროგრამის პრეზენტაცია წარმოედგინა, ხოლო აღნიშნული საკითხების წარმოდგენის შემდეგ საბჭო იმსჯელებდა და მიიღებდა გადაწყვეტილებას.

7. შპს საერთაშორისო ტრენინგ ცენტრ გენეზისის „ესთეტიკური კოსმეტოლოგია“ /01717/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

8. შპს საერთაშორისო ტრენინგ ცენტრ გენეზისის „ლაზერული ეპილაცია“ /01718/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

9. შპს საერთაშორისო ტრენინგ ცენტრ გენეზისის „დერმოპიგმენტაცია“ /01716/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადებს, პროგრამებს და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს.
პრეზენტაცია საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა სალომე ქუთათელაძემ, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 07 აგვისტოს №967334; №967335 და №967331 ბრძანებების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტებმა ანა მუშეგიანმა და ნინო ასკურავამ, 17 და 18 აგვისტოს განახორციელეს ვიზიტი შპს საერთაშორისო ტრენინგ - ცენტრი გენეზისში (შემდეგში - ტრენინგ-ცენტრი), პროგრამის განხორციელების ადგილზე, ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი 70-ა. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა, პროფესიული მომზადების პროგრამების „ესთეტიკური კოსმეტოლოგია“, „ლაზერული ეპილაცია“ და „დერმოპიგმენტაცია“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.
ვიზიტისას გადამოწმდა პროგრამების სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი. მოხდა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროგრამების განმახორციელებელ პირებთან. ვიზიტი წარიმართა კოლეგიალურ და თანამშრომლობით გარემოში.
პროფესიული მომზადების პროგრამა - „ესთეტიკური კოსმეტოლოგია“ /01717/
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით სალომე ქუთათელაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მე-3; პროგრამის ხანგრძლივობა - 10 კვირა; სწავლების ენა - ქართული; მსმენელთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა - 20; პროგრამის განხორციელების ადგილი - თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 70ა.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა, გაიცა ორი რეკომენდაცია, კერძოდ

ქვესტანდარტი 1.6 - პროფესიული მომზადების პროგრამაში სწავლის შედეგები წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თემატიკის/საკითხების ფორმატით, მიზანშეწონილია სწავლის შედეგების ფორმულირება შეიცვალოს და დაკონკრეტდეს ცოდნის მასშტაბი, უნარების კომპლექსურობა, პასუხიმგებლობებისა და ავტონომიურობის ხარისხი.
ქვესტანდარტი 1.4 - ტრენინგ-ცენტრის წარმომადგენელთან გასაუბრებით გაირკვა, რომ პროგრამაში დაშვების წინაპირობაში დაშვებულია ტექნიკური ხარვეზი და აპლიკანტთა

შერჩევის ფორმად გასაუბრების მაგივრად განსაზღვრულია გამოცდა. მიზანშეწონილია, გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და პროგრამის დაშვების წინაპირობაში აპლიკანტთა შერჩევის ფორმად განისაზღვროს გამოცდა.
პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ საერთაშორისო ტრენინგ-ცენტრმა გენეზისმა წარმოადგინა პროგრამების საჭიროების დასაბუთების დოკუმენტი, სადაც განხილულია სილამაზის ინდუსტრიისა და კოსმეტიკური ბაზრის ზოგადი მიმოხილვა, ბაზრის ზრდის ფაქტორები, სილამაზის ინდუსტრიის საგანმანათლებლო ბაზრისა და დასაქმებული კადრის მიმოხილვა.
ტრენინგ-ცენტრს განხორციელებული აქვს მცირე სატელეფონო გამოკითხვა სილამაზის მომსახურების/ესთეტიკური სალონების არსებული კადრის/სპეციალისტების განათლებისა და კვალიფიკაციის კვლევის მიზნით. გამოკითხული იყო ესთეტიკური კოსმეტოლოგიის 50-მდე ცენტრი და წამყვანი სალონები (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი).
სპეციალისტების მომზადება ძირითადად, არაფორმალური განათლების გზით ხდება, სილამაზის სხვადასხვა ობიექტებში, სალონებსა და კლინიკებში. მათ-შორის სხვადასხვა ბრენდებსა და ტრენინგ-ცენტრებში.
არაფორმალური განათლების სივრცეში არსებული პროგრამები სრულად ვერ უზრუნველყოფს კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც იქნებიან კონკურენტუნარიანი და მომხმარებელს შესთავაზებენ უსაფრთხო და ხარისხიან სერვისს. მიუხედავად იმისა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო სივრცეში არსებობს პროფესიული და საგანმანათლებლო სტანდარტები, რომლებიც ადგენენ სპეციალისტებისთვის მინიმალურ მოთხოვნებს. ბაზრის კვლევებისა და სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე ტრენინგ-ცენტრმა, მიმდინარე ეტაპისთვის გადაწყვიტა სახის კანის მოვლის/ესთეტიკური კოსმეტოლოგიის, ლაზერული ეპილაციისა და დერმოპიგმენტაციის პროგრამების ფორმალური განათლების სფეროში შემოტანა.
აღნიშნული პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან, სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე. დაწესებულებას პროფესიული მომზადების პროგრამის სწავლებისთვის განსაზღვრული აქვს ინტერნეტ რესურსი, აუდიო/ვიდეო მასალა და 2 სასწავლო ლიტერატურა. დაწესებულებას აქვს პროგრამისთვის საჭირო სასწავლო ლიტერატურა ნათარგმნი ქართულ ენაზე, ასევე, აქვს ინტერნეტ რესურსის ელექტრონული ვერსია.
აღსანიშნავია, რომ კლინიკისა და ტრენინგ-ცენტრის მიერ, შემუშავებულია სახელმძღვანელო „ინექციური კოსმეტოლოგიის ენციკლოპედია“, რომელიც განსაზღვრულია პროფესიული მომზადების პროგრამის სწავლებისთვის. სახელმძღვანელო მოიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას და საკითხს დარგში მომუშავე სპეციალისტებისა და მსმენელებისთვის.
სწავლის შედეგებთან დაკავშირებით სალომე ქუთათელაძემ აღნიშნა, პროგრამაში წარმოდგენილია 7 სწავლის შედეგი, როგორც ზემოთ აღინიშნა, გაიცა რეკომენდაცია სწავლის შედეგების ფორმულირების შეცვლასთან დაკავშირებით.
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია, პროგრამის ხანგრძლივობაა 10 კვირა (180 საათი). სასწავლო პროცესი წარიმართება კვირაში 4 დღე, საშუალო კვირეული დატვირთვით 12-20 საათი. პროგრამა მოიცავს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტს. თეორიული კომპონენტის სწავლება საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს დისტანციური სწავლების ფორმით.
აღნიშნულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია: განათლება - საბაზო; აპლიკანტთა შერჩევის ფორმა- გამოცდა. ცენტრის წარმომადგენელთან გასაუბრებით გაირკვა, რომ პროგრამაში დაშვების წინაპირობაში დაშვებულია ტექნიკური ხარვეზი და აპლიკანტთა შერჩევის ფორმად გასაუბრების მაგივრად განსაზღვრულია გამოცდა.

პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროფესიული მომზადების პროგრამის სწავლება მოიცავს როგორც თეორიულ, ასევე, პრაქტიკულ კომპონენტს, ამიტომ ტრენინგ-ცენტრს აქვს 20 მსმენელისთვის და განმახორციელებელი პირებისთვის საჭირო A და C სასწავლო გარემო.

A - სასწავლო გარემო უზრუნველყოფილია 20 მსმენელზე შესაბამისი ინვენტარით. ტრენინგ - ცენტრს პრაქტიკული სწავლებისთვის აქვს 3 C - სასწავლო გარემო, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. პრაქტიკული მეცადინეობები ჩატარდება 2 ჯგუფად, 5-5 მსმენელი.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 4 განმახორციელებელი პირი. დაწესებულებას ატვირთული აქვს ელექტრონულ სისტემაში განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, დაწესებულებამ პროგრამასთან ერთად ელექტრონულად წარმოადგინა 2023 წლის 31 მაისის შპს ,,სახანძრო ექსპერტიზის ბიუროს'' ანგარიში, რომლის მიხედვითაც დასტურდება, რომ ქ. თბილისში ვაჟა -ფშაველას გამზ. №70ა-ში მდებარე შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების მოთხოვნებს.

კომპანიას პრიორიტეტად აქვს დასახული შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხები, ამიტომ შემუშავებული აქვს დოკუმენტი - ,,შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკა'' და რისკების მართვის გეგმა.

მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას. დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი - ,,მსმენელის შეფასებისა და შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების წესი'', სადაც გაწერილია შეფასებისთვის დადგენილი მოთხოვნები, განმეორებითი შეფასება, შეფასების გასაჩივრების წესი, თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის შეფასების ინსტრუმენტის მოთხოვნები და შეფასების ინსტრუმენტის შეთანხმების წესი, ასევე, დოკუმენტს თან ახლავს დანართები (შეფასების ინსტრუმენტების ფურცელი).

წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამით ,,ესთეტიკური კოსმეტოლოგია'' გათვალისწინებულია, რომ სწავლების ციკლს თან სდევს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები.

ტრენინგ-ცენტრი აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში. კლინიკა „გენეზისი" დაარსდა 2016 წელს და მას შემდეგ წარმატებით ფუნქციონირებს სილამაზის ინდუსტრიაში. კლინიკის პერსონალი, აცნობიერებს რა დარგში არსებულ გამოწვევებს, დაარსებიდანვე, ძირითად საქმიანობასთან ერთად, ახორციელებდა არაფორმალურ კურსებს, როგორც პროფესიული მომზადების, ისე პროფესიული გადამზადების მიმართულებით.

სალომე ქუთათელაძემ აღნიშნა, რომ კლინიკის მიერ გადამზადდა 202 პირი. საიდანაც კლინიკის მიერ დასაქმებულია 45%. გამომდინარე იქედან, რომ კლინიკა ახორციელებს სილამაზის ინდუსტრიის პრეპარატების დისტრიბუციას, საკუთარი სადისტრიბუციო ქსელის მეშვეობით ხელს უწყობს ტრენინგ-ცენტრის კურსდამთავრებულთა დასაქმებას.

კომპანია სისტემატურად აწყობს სემინარებს მოწვეული უცხოელი სპეციალისტების მიერ, ასევე, ატარებს სემინარებს ქვეყნის მასშტაბით დარგში არსებული სიახლეების გაცნობის მიზნით. ამ მოტივაციით, 2017 წელს გენეზისის ინიციატივით მოეწყო საერთაშორისო ფორუმი, სადაც მოწვეული იყო 30-ზე მეტი ექიმი სხვადასხვა ქვეყნიდან.

ტრენინგ-ცენტრს აქვს ამბიცია, 2030 წლისთვის, სილამაზის მომსახურებისა და ესთეტიკური მედიცინის სფეროს სპეციალისტების 50%, დარგის სხვადასხვა მიმართულებით, ტრენინგ-ცენტრის მიერ იყოს გადამზადებული.

ტრენინგ-ცენტრმა წარმოადგინა დირექტორის მიერ დამტკიცებული დოკუმენტი - ,,პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მსმენელთა შერჩევისა,

პროგრამაზე ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესის მართვის წესი''. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება: დოკუმენტაციის საფუძველზე ან/და საჭიროების შემთხვევაში პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან შესაბამისობის შემოწმებით, ასევე, გასაუბრებით, კონკურსის არსებობის შემთხვევაში.

გასაუბრების შემთხვევაში დგება საკონკურსო კომისია და კონკურსის ჩატარების თარიღი განისაზღვრება ტრენინგ-ცენტრის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით, გასაუბრების შედეგების რეიტინგული მაჩვენებლების შესაბამისად ხდება კანდიდატების შერჩევა გამოყოფილი კვოტის ფარგლებში.

საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის ტრენინგ-ცენტრი იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს, შემუშავებული აქვს დოკუმენტი ,,ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურა'', რომელიც აღწერს კომპანიის საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის ზოგად პრინციპებსა და მექანიზმებს, რომელიც უზრუნველყოფს ტრენინგ-ცენტრის საგანმანათლებლო მომსახურების პროცესების შესაბამისობას საკანონმდებლო და ხარისხის მენეჯმენტის საერთაშორისო მოთხოვნებთან.

ტრენინგ-ცენტრი საქმიანობის შეფასებას უზრუნველყოფს პროცესების მონიტორინგის საფუძველზე, რომლის მიზანია სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურობისა და შედეგიანობის მაჩვენებლების სისტემატური კვლევა-ანალიზი, განვითარების შესაძლებლობების პროგნოზირება და სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება.

რაც შეეხება მესამე სტანდარტის 3.3, 3.5, 3.6 და 3.7 ქვესტანდარტებს, გამოცდილების არ არსებობის გამო აღნიშნული ქვესტანდარტები არ შეფასდა სამივე პროგრამის შემთხვევაში.

პროფესიული მომზადების პროგრამა - „ლაზერული ეპილაცია“ /01718/

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით სალომე ქუთათელაძემ განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მე-3; პროგრამის ხანგრძლივობა - 4 კვირა; სწავლების ენა - ქართული; მსმენელთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა - 12; პროგრამის განხორციელების ადგილი - თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 70ა.

ტრენინგ-ცენტრში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა. გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია, კერძოდ

ქვესტანდარტი 1.6 - პროფესიული მომზადების პროგრამაში სწავლის შედეგები წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თემატიკის/საკითხების ფორმატით, მიზანშეწონილია სწავლის შედეგების ფორმულირება შეიცვალოს და დაკონკრეტდეს ცოდნის მასშტაბი, უნარების კომპლექსურობა, პასუხიმგებლობებისა და ავტონომიურობის ხარისხი.

ქვესტანდარტი 1.7 - პროგრამის დოკუმენტში ,,პროგრამის აღწერის'' ველში მომზადების პროგრამის ხანგრძლივობად განსაზღვრულია 54 საათი, თუმცა იგივე პროგრამის დოკუმენტში კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვის მიხედვით 4 კვირიანი მომზადების პროგრამა მოიცავს 60 საათს.

მიზანშეწონილია, გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და პროგრამის აღწერის ველში ჩაიწეროს პროგრამის ხანგრძლივობად 60 საათი.

ქვესტანდარტი 1.10 - ტრენინგ-ცენტრის წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებლებთან გასაუბრებით დაზუსტდა, რომ მე-4 კვირის ბოლოს განსაზღვრული პრაქტიკული კომპონენტის სწავლის შედეგების განმსაზღვრელი შეფასება მოხდება პრაქტიკული დავალების შესრულებით (ლაზერული ეპილაცია), პროგრამის განმახორციელებელი პირის ზედამხედველობით მოდელზე, რომელიც თავად უნდა უზრუნველყოს მსმენელმა. მიზანშეწონილია, რომ ეს ინფორმაცია გათვალისწინებული იყოს პროგრამის აღწერის ველში და პროგრამის მე-4 სასწავლო კვირის ბოლოს განმსაზღვრელი შეფასების აღწერაში.

აღნიშნული პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროფესიული მომზადების პროგრამა წარმოდგენილია 4 სწავლის შედეგით, პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით.
აღნიშნულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია: საბაზო განათლება, აპლიკანტთა შერჩევის ფორმაა გასაუბრება. პროგრამის ხანგრძლივობაა 4 კვირა (60 საათი). სწავლება წარიმართება კვირაში 3 დღე, საშუალო კვირეული დატვირთვით 12-16 საათი. პროგრამა მოიცავს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტს. თეორიული კომპონენტის სწავლება საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს დისტანციური სწავლების ფორმით.
პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით,პროფესიული მომზადების პროგრამის სწავლება მოიცავს როგორც თეორიულ, ასევე, პრაქტიკულ კომპონენტს, ამიტომ ტრენინგ-ცენტრს აქვს 12 მსმენელისთვის საჭირო A და C სასწავლო გარემო.
A - სასწავლო გარემო უზრუნველყოფილია 12 მსმენელზე შესაბამისი ხოლო C სასწავლო გარემო აღჭურვილია პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის სწავლებისთვის საჭირო ინვენტარით. პრაქტიკული მეცადინეობები ჩატარდება 2 ჯგუფად, 6-6 მსმენელი.
პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 3 განმახორციელებელი პირი. დაწესებულებას ატვირთული აქვს ელექტრონულ სისტემაში განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე, დაწესებულებას პროფესიული მომზადების პროგრამის სწავლებისთვის განსაზღვრული აქვს ინტერნეტ რესურსი და 2 სასწავლო ლიტერატურა. დაწესებულებას აქვს პროგრამისთვის საჭირო სასწავლო ლიტერატურა ნათარგმნი ქართულ ენაზე, ასევე, აქვს ინტერნეტ რესურსის ელექტრონული ვერსია. როგორც ზემოთ აღინიშნა, კლინიკისა და ტრენინგ-ცენტრის მიერ შემუშავებულია სახელმძღვანელო რომელიც განსაზღვრულია მომზადების პროგრამის სწავლებისთვის. სახელმძღვანელო მოიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას და საკითხს დარგში მომუშავე სპეციალისტებისა და მსმენელებისთვის.
მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას. წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამით ,,ლაზერული ეპილაცია'' გათვალისწინებულია, განმავითარებელი შეფასებები, როგორც თეორიული ისე პრაქტიკული სწავლებისას. ყოველი კომპონენტის დასრულებისას ტარდება განმსაზღვრელი შეფასება, რაც გულისხმობს გამოკითხვასა და პრაქტიკული დავალების შესრულებას. პროგრამის განმავლობაში ტარდება 2 განმსაზღვრელი შეფასება თეორიული კომპონენტის დადასტურება (მე-2 კვირის ბოლოს) და პრაქტიკული კომპონენტის სწავლის შედეგების განმსაზღვრელი შეფასება, მე-4 კვირის ბოლოს, რომელიც ხორციელდება პრაქტიკული დავალების სახით - ჭარბი თმის მოცილება სხივური ტექნოლოგიის გამოყენებით.
ვინაიდან სამივე წარმოდგენილი პროგრამა არის ერთი და იმავე ორგანიზაციის, შესაბამისად დანარჩენი ქვესტანდარტები შეფასდა ანალოგიურად.

პროფესიული მომზადების პროგრამა - „დერმოპიგმენტაცია“ /01716/

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით სალომე ქუთათელაძემ აღნიშნა, რომ აღნიშნული პროგრამის
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მე-3; პროგრამის ხანგრძლივობა - 6 კვირა; სწავლების ენა - ქართული; მსმენელთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა - 16; პროგრამის განხორციელების ადგილი - თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 70ა.

ტრენინგ-ცენტრში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა. გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია, 1.6 ქვესტანდარტთან დაკავშირებით გაიცა ანალოგიური რეკომენდაცია, როგორც წარმოდგენილ ორ პროგრამაზე.

ქვესტანდარტი 1.10 - პროგრამის ,,აღწერის ველში'' დაწესებულებას აქვს ჩანაწერი, რომ განმსაზღვრელი შეფასების ჩატარება თეორიული კომპონენტის დასრულებისას მე-2 სასწავლო კვირის ბოლოს მოხდება, ხოლო პრაქტიკული კომპონენტის, ყველა პრაქტიკული სწავლის შედეგის დასრულებისას. პროგრამის, მე-2 სასწავლო კვირაში არ არის გათვალისწინებული ეს პირობა, თუმცა განსაზღვრულია პროგრამის მე-3 სასწავლო კვირაში. რადგან, პროგრამით გათვალისწინებული თეორიული კომპონენტის სწავლება მთავრდება მე-3 სასწავლო კვირას. ამიტომ, მიზანშეწონილია გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და პროგრამის ,,აღწერის ველში'' ჩაიწეროს თეორიული კომპონენტის განმსაზღვრელი შეფასება პროგრამის მე-3 სასწავლო კვირის ბოლოს.

ქვესტანდარტი 2.2 - დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში ,, მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი'' ჩაწერილია შემდეგი სახის პირობა, კერძოდ, ,,პრაქტიკული კომპონენტის სწავლებისთვის საჭირო სამუშაო ინსტრუმენტებს და მასალას იძენს მსმენელი'', თუმცა პროგრამის დოკუმენტში არ არის ეს პირობა განსაზღვრული. მიზანშეწონილია, ზემოთხსენებული პირობა ჩაიწეროს პროგრამის აღწერაში და დაკონკრეტდეს რა მასალა და ინსტრუმენტი უნდა იქონიოს მსმენელმა.

პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან, პროფესიული მომზადების პროგრამა წარმოდგენილია 7 სწავლის შედეგით, პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა - გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით, თუმცა როგორც ზემოთ აღინიშნა, სწავლის შედეგებთან დაკავშირებით გაიცა რეკომენდაცია.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია საბაზო განათლება, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება.

პროგრამის ხანგრძლივობაა 6 კვირა (100 საათი). სასწავლო პროცესი წარიმართება კვირაში 3 დღე, საშუალო კვირეული დატვირთვით 12-18 საათი. პროგრამა მოიცავს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტს. პირველი 3 კვირა ეთმობა თეორიულ სწავლებას, ხოლო, მომდევნო 3 კვირა პრაქტიკულ სწავლებას. თეორიული კომპონენტის სწავლება საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს დისტანციური სწავლების ფორმით.

პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. ტრენინგ-ცენტრს აქვს 16 მსმენელისთვის საჭირო A და C სასწავლო გარემო. სწავლება სრულად იგეგმება A- სასწავლო გარემოში ხელოვნურ კანსა და მულაჟზე, ხოლო მსმენელის სურვილის შემთხვევაში, პროცედურების შესრულება შესაძლებელია ცოცხალ მოდელზე, წინასწარ ხდება შეთანხმდება ტრენინგ-ცენტრის მენეჯერთან და დაიგეგმება პროცესი C-სასწავლო გარემოში.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 2 განმახორციელებელი პირი. დაწესებულებას ატვირთული აქვს ელექტრონულ სისტემაში განმახორციელებელი პირის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე. დაწესებულებას მომზადების პროგრამის სწავლებისთვის განსაზღვრული აქვს ინტერნეტ რესურსი და 2 სასწავლო ლიტერატურა. დაწესებულებას აქვს პროგრამისთვის საჭირო სასწავლო ლიტერატურა ნათარგმნი ქართულ ენაზე, ასევე, აქვს ინტერნეტ რესურსის ელექტრონული ვერსია.

წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამის ,,დერმოპიგმენტაცია'' აღწერით ნაწილში გათვალისწინებულია, რომ სწავლების მთელ ციკლს თან სდევს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები. განმსაზღვრელი შეფასება ჩატარდება: თეორიული კომპონენტის დასრულებისას, მე-2 კვირის ბოლოს, ხოლო პრაქტიკული კომპონენტის, ყველა პრაქტიკული

სწავლის შედეგის დასრულებისას. პრაქტიკული დავალებები სრულდება ხელოვნურ კანზე. მსმენელს შეეძლება, პროგრამის განმახორციელებელი პირის ზედამხედველობით, პრაქტიკული დავალებები, ასევე, შეასრულოს მოდელზე, რომელსაც თავად უზრუნველყოფს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს გამოეთქვა მოსაზრება აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.
მანანა მახარაშვილმა, ორგანიზაციის ხარისხის მართვის მენეჯერმა აღნიშნა, რომ პასუხს გასცემდა „ლაზერული ეპილაციის“ პროგრამასთან დაკავშირებით, რომ საბჭოს არ დარჩენოდა კითხვები ამ საკითხთან დაკავშირებით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ძირითადად სწავლების პრაქტიკა ასეთია. პრაქტიკასა და სტატისტიკაზე დაყრდნობით იმის დამატებაც შეიძლება, რომ აღნიშნულ პროგრამაზე ძირითადად მსმენელები არიან უკვე პრაქტიკოსი კოსმეტოლოგები, ან საშუალო სამედიცინო განათლების პირები, რომლებსაც გარკვეული საჭირო წინმსწრები განათლება აქვთ. შესაბამისად, ცენტრი დაეყრდნო არსებულ პრაქტიკას. ამასთან, პროგრამის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, გარკვეულწილად შეზღუდვა გამოიწვია საგანმანათლებლო სტანდარტმა, რომლის საფუძველზეც შემუშავდა ცენტრის პროგრამები. სტანდარტის ამ მოდულში, ლაზერული ეპილაციის კომპეტენციის დასაძლევად დათმობილი, როგორც კოგნიტური, ისე პრაქტიკული უნარებისთვის საათების რაოდენობა წარმოდგენილი პროგრამის ხანგრძლივობის შესაბამისია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საერთაშორისო ტრენინგ ცენტრ გენეზისის „ესთეტიკური კოსმეტოლოგია“ /01717/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს საერთაშორისო ტრენინგ ცენტრ გენეზისს (ს/კ: 405579672) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ესთეტიკური კოსმეტოლოგია /01717/ **(დანართი 7).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საერთაშორისო ტრენინგ ცენტრ გენეზისის „ლაზერული ეპილაცია“ /01718/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების

უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს საერთაშორისო ტრენინგ ცენტრ გენეზისს (ს/კ: 405579672) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ლაზერული ეპილაცია /01718/ **(დანართი 8).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საერთაშორისო ტრენინგ ცენტრ გენეზისის „დერმოპიგმენტაცია“ /01716/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს საერთაშორისო ტრენინგ ცენტრ გენეზისს (ს/კ: 405579672) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - დერმოპიგმენტაცია /01716/ **(დანართი 9).**

10. ა(ა)იპ ჭიათურის მულტიფუნქციური ცენტრის „ენერგიის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მონტაჟი (მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟი)“ /01673/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ნათია არაბიძემ, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 18 აგვისტოს №1012339 ბრძანების საფუძველზე პროფესიული გადამზადების პროგრამის მოწვეულმა დარგის ექსპერტმა ნათია არაბიძემ და ცენტრის წარმომადგენელმა ნონა საათაშვილმა 2023 წლის 24 აგვისტოს განახორციელეს ვიზიტი ა(ა)იპ ჭიათურის მულტიფუნქციურ ცენტრში ქ. ჭიათურაში, ძმები დეკანოზიშვილების ქ. №1, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,ენერგიის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მონტაჟი (მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟი)“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.
ვიზიტის დროს ექსპერტისა და ცენტრის წარმომადგენლის მიერ განხორციელდა გასაუბრება ჭიათურის მულტიფუნქციური ცენტრის მენეჯერთან, ცენტრის ახალგაზრდული მიმართულების კოორდინატორთან. ასევე, გადამოწმდა პროგრამის სწავლის შედეგების

მისაღწევად საჭირო მატერიალური, სასწავლო რესურსი და ლაბორატორია. განხორციელდა პარტნიორ კომპანიასთან სატელეფონო გასაუბრება, ასევე, დისტანციური ჩართვის საშუალებით შედგა ინტერვიუ/გასაუბრება პროგრამის შემდგენელთან და განმახორციელებელ პირებთან.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით ნონა საათაშვილმა განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროფესიული გადამზადების პროგრამის სახელწოდებაა - ,,ენერგიის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მონტაჟი (მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟი)", ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მე-4; პროგრამის ხანგრძლივობა - 18 კვირა; სწავლების ენა - ქართული;

მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 15; პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. ჭიათურა, ძმები დეკანოზიშვილების ქ. №1.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს დაფიქსირდა ხარვეზი 1.7 ქვესტანდარტთან მიმართებაში, კერძოდ

ქვესტანდარტი 1.7 - პროგრამის ხანგრძლივობა (გათვალისწინებული საათებისა და კვირების რაოდენობა) უნდა დაკორექტირდეს და 25 საათის - ჯამში პირველი 6 კვირის მომცველი, ზედმეტად დეტალიზებული, პროფესიული გადამზადების პროგრამით მისაღწევი მთავარი მიზნისთვის ზედმეტად გავრცობილი თეორიული ნაწილი უნდა ჩანაცვლდეს გონივრული მოცულობის დარგის მიმოხილვითი სახის ტრეინინგით და ეს ყოველივე აისახოს პროგრამის თითოეული კვირის საათობრივ დატვირთვასა და კვირების ჯამზე, რაც 18 კვირაზეა გადანაწილებული. ასევე, უნდა გადაიხედოს თითოეული კვირის საათობრივი დატვირთვა და თეორიული ნაწილის კორექტირების შემდეგ ასევე, გონივრულად უნდა შემოკლდეს პროფესიული გადამზადების პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე კვირების რაოდენობაც.

გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია, კერძოდ

ქვესტანდარტი 1.2 - რეკომენდებულია: პროფესიული გადამზადების პროგრამის I - VI კვირის მონაკვეთში გადანაწილებული პირველი ორი სწავლის შედეგი, ანუ ზედმეტად გავრცობილი თეორიული ნაწილი, ჩანაცვლდეს რამდენიმე საათიანი მიმოხილვითი ტრეინინგით, რაც სრულიად საკმარისი იქნება ამ მიმართულების მსმენელთათვის.

ქვესტანდარტი 1.3 - გაიცა რეკომენდაცია, რომ პირველი ექვსი კვირის 25 საათიანი თეორიული ნაწილი შემოკლდეს და გადამზადების პროგრამის ძირითადი მიზნიდან გამომდინარე დაკორექტირდეს, ან ჩანაცვლდეს პრაქტიკული სწავლებით.

ქვესტანდარტი 1.6 - რეკომენდებულია: თითოეული სწავლის შედეგი ერთიან სიაში დაინომროს და წარმოდგენილი სიის პირველი ორი შედეგი ჩანაცვლებულ იქნას ერთი მიმოხილვითი ტრეინინგით, რაც საკმარისი იქნება პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე და ეს გონივრული ჩანაცვლება (კორექტირება) დადებითად აისახება მსმენელთათვის გადამზადების პროცესში განსაზღვრული პროგრამის საათობრივი დატვირთვისა (ჯამში 107 საათი) და კვირების რაოდენობაზეც (ჯამში 18 კვირა).

ქვესტანდარტი 1.10 - გაიცა რეკომენდაცია: გასაჩივრების მექანიზმის არ არსებობის გამო, დაიხვეწოს და ა(ა)იპ ჭიათურის მულტიფუნქციური ცენტრის ხელმძღვანელის მიერ, შესაბამისი წესით დამტკიცდეს მსმენელთა შეფასების დოკუმენტი, რომელშიც ლოგიკური/გონივრული ვადა იქნება განსაზღვრული შეფასების აპელაციისთვის.

ქვესტანდარტი 2.1 - გაიცა რეკომენდაცია: პროგრამის მდგრადობის მიზნით დამატებულიყო პრაქტიკული ნაწილის განმახორციელებელი კიდევ ერთი პირი და დაწესებულებამ ვიზიტის დასრულებამდე უზრუნველყო კიდევ ორ პრაქტიკული ნაწილის განმახორციელებელ პირთან ხელშეკრულების გაფორმება.

ქვესტანდარტი 2.3 - გაიცა რეკომენდაცია: დამატებულ იქნას პრაქტიკული ნაწილის შესაბამისი სწავლის შედეგების მომცველი სასწავლო რესურსი, რადგან წარმოდგენილთა შორის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ მხოლოდ 1 ელექტრონული წიგნი მოიცავს ამ საკითხებს.

ქვესტანდარტი 3.4 - რეკომენდებულია: შემუშავდეს ხარისხის მექანიზმების მეთოდოლოგიის შესაბამისი კითხვარები: სტუდენტთა კმაყოფილების, განმახორციელებლების და პროგრამის შეფასების შესახებ.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის საჭიროების დასაბუთების დოკუმენტი, სადაც ვკითხულობთ, რომ საქართველოში დაგეგმილი მზისა და ქარის ელექტროსადგურების განვითარების გეგმის ფარგლებში მშენებლობისა და შემდგომ, ექსპლუატაციის პროცესში განსაკუთრებული მოთხოვნა წარმოიშვება ტექნიკურ პერსონალზე.

იმისთვის, რომ შესაძლებელი გახდეს გეგმით გათვალისწინებული სადგურების მშენებლობა, აუცილებელია ადგილობრივი ადამიანური რესურსის განვითარება და მაქსიმალურად ათვისება, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში დასაქმების შესაძლებლობით ისარგებლებენ უცხოელი პროფესიონალები, ან უკიდურეს შემთხვევაში, შესაბამისი კვალიფიკაციის კადრის არყოლის გამო, ვერ განხორციელდება ამა თუ იმ მზის სადგურის განვითარება.

მზის ენერგეტიკაში მოღვაწე კერძო კომპანიები ყოველწლიურად უფროდაუფრო მეტ გამოწვევას ხვდებიან კვალიფიციური კადრის არყოლის გამო, რაც საბოლოო ჯამში საქართველოსთვის ერთ-ერთი სტრატეგიული მნიშვნელობის სექტორის განვითარებას უშლის ხელს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შრომით ბაზარზე შექმნილმა ვითარებამ, ასევე, ქვეყნის ენერგოსექტორის ანალიზმა და მზის ენერგეტიკაში მოღვაწე კომპანიების მოთხოვნამ - ჭიათურის მულტიფუნქციურ ცენტრს საკმარისი საფუძველი მისცა ამ პროფესიული გადამზადების მოკლევადიანი კურსის შექმნისთვის.

წარმოდგენილი პროგრამის მიზანთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროგრამის მიზანია გადაამზადოს ადგილობრივ ბაზარზე კონკურენტუნარიანი, საჭირო თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარის მქონე კადრი, რომელიც შეძლებს მზის ენერგიაზე მომუშავე ფოტოელექტრული სისტემებისა და მის შემადგენელ დანადგარებზე/მოწყობილობებზე მუშაობას;

მზის ენერგიაზე მომუშავე ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟისთვის - მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებას, მათ მონტაჟს, შემოწმებას, შეკეთებას და ტექნიკურ მომსახურებას უსაფრთხოების წესების დაცვით. გაიცა რეკომენდაცია, თეორიული ნაწილი შემოკლდეს და გადამზადების პროგრამის ძირითადი მიზნიდან გამომდინარე დაკორექტირდეს ან ჩანაცვლდეს პრაქტიკული სწავლებით.

პროგრამა ითვალისწინებს 8 სწავლის შედეგის მიღწევას, პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით.

1. ენერგეტიკაში განახლებადი ენერგიების მნიშვნელობის განსაზღვრა
2. გარემოსდაცვითი ღონისძიებების და გარემოსდაცვითი პრობლემების, რისკების აღწერა
3. მზის ენერგიაზე მომუშავე ფოტოელექტრული სისტემების მოქმედების პრინციპების აღწერა
4. მზის ენერგიაზე მომუშავე ფოტოელექტრული სისტემების, დანადგარების/მოწყობილობების მონტაჟის, შემოწმების და ტექნიკური მომსახურების წესების გაცნობიერება
5. მზის ენერგიაზე მომუშავე ფოტოელექტრული სისტემების, დანადგარების/მოწყობილობების მონტაჟის, შემოწმების და ტექნიკური მომსახურების უსაფრთხოების წესების აღწერა
6. მზის ენერგიაზე მომუშავე ფოტოელექტრული სისტემების, დანადგარების/მოწყობილობების მონტაჟისათვის მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება
7. მზის ენერგიაზე მომუშავე ფოტოელექტრული სისტემების, დანადგარების/მოწყობილობების მონტაჟი
8. მზის ენერგიაზე მომუშავე ფოტოელექტრული სისტემების, დანადგარების/მოწყობილობების შემოწმება, შეკეთება და ტექნიკური მომსახურება.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ პროგრამაზე აპლიკანტთა დაშვების წინაპირობებია: სამუშაო გამოცდილება: მემონტაჟე - მექანიკოსი - 1 წელი, კვალიფიკაცია პროგრამის შესაბამის დარგში: 0713 - ელექტრობა და ენერგია, 071 -

ინჟინერია და საინჟინრო საქმე, 07 - ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა, კვალიფიკაცია პროგრამის შესაბამის სფეროში: 071 - ინჟინერია და საინჟინრო საქმე, აპლიკანტთა შერჩევის ფორმაა - გასაუბრება.
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. პროგრამის ხანგრძლიობა შეადგენს 18 კვირას, ჯამში 107 საათი.
პროგრამის ფარგლებში მსმენელები გაივლიან სასწავლო ექსკურსიას, მოქმედ/მშენებარე სადგურზე, სადაც ისინი იხილავენ, თუ როგორ ფუნქციონირებს მზის ელექტრო სადგური და როგორ ხდება მისი ექსპლუატაცია. სწავლება განხორციელდება ჭიათურის მულტიფუნქციური ცენტრში და პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით - როგორც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აუდიტორიებსა და სასწავლო ლაბორატორიებში/სახელოსნოში, ასევე, რეალურ გარემოში - კომპანიაში.
ვიზიტის ფარგლებში პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების საფუძველზე.
პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით. პროფესიული გადამზადების პროგრამას განახორციელებს 5 პირი, წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით განმახორციელებლებს უდასტურდებათ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სწავლებისთვის შესაბამისი განათლება და პრაქტიკული გამოცდილება.
ვიზიტის დროს მოხდა პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრება და დასტურდება, რომ აღნიშნული პირები ჩართული იყვნენ პროგრამის შემუშავებაში, მათ გამოცდილებასთან ერთად აქვს დიდი მზაობა და სურვილი პროგრამის განხორციელებისა.
მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ დაწესებულებამ პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მოითხოვა 15 მსმენელი, პროგრამა თავის სპეციფიკიდან გამომდინარე სრულად ხორციელდება A/C-სასწავლო გარემოში და ასევე საჭიროების შემთხვევაში პარტნიორი უზრუნველყოფს გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების წარმართვას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და აღჭურვილობის გამოყენებით. დაწესებულებას ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს 3 პარტნიორ ორგანიზაციასთან, კერძოდ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან, ა(ა)იპ „საქართველოს განახლებადი ენერგიის განვითარების ასოციაციასთან“ და შპს „ჰელიოს ენერჯისთან.“ მსმენელებისთვის შექმნილი გარემო პირობები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
რაც შეეხება სასწავლო რესურსებს, დაწესებულებას პროგრამისთვის წარმოდგენილი აქვს 4 ელექტრონული სასწავლო რესურსი, ამისთვის აქვთ ქსელში ჩართული 15 კომპიუტერი, სადაც მსმენელებს შეუძლიათ გაეცნონ ჩატვირთულ სასწავლო ლიტერატურას.
მსმენელების უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში სწავლებასთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ელექტრონულ სისტემაში წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია, დაწესებულების დათვალიერებით დგინდება, რომ სათანადო ადგილას განთავსებულია საევაკუაციო გეგმა, ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებები, დამონტაჟებულია კვამლის დეტექტორები და განთავსებულია ე. წ. ,,ექსითები“; შესაბამისად, დაწესებულებაში სასწავლო პროცესი წარიმართება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში.
იურიდიული პირი აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში, ვიზიტის დროს დაწესებულებამ დაასაბუთა, რომ ჭიათურაში, პატარა სამთო ქალაქში, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო ისეთი ჰაბის არსებობა, რომელიც ადგილობრივ ახალგაზრდებს ქალაქიდან წაუსვლელად მისცემდა განვითარების შესაძლებლობას. სწორედ ამიტომ, კომპანია ჯორჯიან მანგანეზმა 2021 წლის 10 მაისს შექმნა ჭიათურის მულტიფუნქციური ცენტრი. ცენტრის მთავარი არსი ის საგანმანათლებლო პლატფორმაა, რომლის მიზანიც არაფორმალურ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, ადგილობრივი ახალგაზრდების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის ხელშეწყობა და შრომით ბაზარზე მათი აქტიური ინტეგრაციაა.

კომპანიის ინიციატივით, მულტიფუნქციურ ცენტრს გადაეცა ისტორიული ტრესტის შენობა, რომელიც კომპანიის ფინანსური მხარდაჭერით გარემონტდა და საჭირო ინვენტარით აღიჭურვა.
მსმენელთა შერჩევის პროცედურებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს 2023 წლის 6 თებერვლის №1 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების დამტკიცების, განხორციელებისა და მსმენელთა ჩარიცხვის წესი და პირობები“, რომელშიც გაწერილია პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციის გამოცხადება, აპლიკანტთა რეგისტრაცია, აპლიკანტთა შერჩევა, საკონკურსო კომისია, კონკურსში მონაწილე აპლიკანტთა უფლება-მოვალეობები და კომპანიის ვალდებულებები, კომპანიის მიერ ორგანიზებული კონკურსის ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიების განხილვის წესი, მსმენელის სტატუსის მოპოვება, მსმენელთა სტატუსის შეწყვეტა, მსმენელის პირადი საქმე და დასკვნითი დებულებები.
დაწესებულება აქვს საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის ,,პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომლის მიზანია მომზადება/ გადამზადების პროგრამების სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, სრულყოფა და მისი განვითარება.
პრეზენტაციის ბოლოს მან წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ბაბალაშვილმა მიმართა დარგის ექსპერტს, რომ ცხადია პროგრამა საჭიროებს კიდევ ერთხელ გადახედვას და დახვეწას. ამ ეტაპზე წარმოდგენილი პროგრამა არის 18 კვირიანი და მიზანშეწონილად თვლის თუ არა დარგის ექსპერტი, რომ უნდა შემცირდეს კვირების რაოდენობა თეორიული კომპონენტის შემცირების საფუძველზე, რაზეც დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ პირველი ექვსი კვირის განმავლობაში, რომელიც მთლიანად თეორიულ ნაწილს მოიცავს, მას მიაჩნია, რომ ზედმეტად გავრცობილია და თან საქართველოში ამისთვის უამრავი საბაკალავრო პროგრამაც არსებობს, ვინაიდან ეს არის პროფესიული გადამზადების პროგრამა, ამ თემატიკის სწავლება ზედმეტია, რაც შეეხება პრაქტიკულ ნაწილს, მათ ძალიან კარგად აქვთ მე-7 კვირიდან თემატიკა შერჩეული და დასძინა, რომ 8-10 კვირა სავსებით საკმარისი იქნება, თუმცა უნდა ითქვას, რომ პირველი 6 კვირის შემდეგ, მათ რაც აქვთ წარმოდგენილი, აბსოლუტურად ამომწურავია, იმისთვის, რომ აღნიშნული პროგრამა მეტად მოქნილი უნდა გახდეს, ვინაიდან ეს პროფესიული გადამზადების პროგრამაა. მან ასევე დასძინა, რომ როდესაც პირი მოდის გადამზადების პროგრამაზე, მას სურვილი აქვს შეისწავლოს კონკრეტული ხელობა, ამიტომ ზუსტად ეს არის მნიშვნელოვანი და ამ კომპონენტის განვითარებაა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი და 6 კვირა მსმენელი მხოლოდ თეორიულ ნაწილს თუ მოისმენს, შესაძლოა სურვილიც გაუქრეს სწავლის გაგრძელების. დღეს ისეთი გამჭვირვალეა ყველაფერი და იმდენი ინტერნეტ რესურსია ხელმისაწვდომი, რომ ნებისმიერს აქვს შესაძლებლობა მოუსმინოს სურვილისა და ინტერესის ქონის შემთხვევაში.
ნანი დალაქიშვილმა მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს აღნიშნულ წარმოებაში მონაწილეობის მიღებისათვის და თანამშრომლობისათვის, და დაინტერესდა, პროგრამის განხორციელებაში უშუალოდ რომელ ნაწილში მონაწილეობდა „ჰელიოს ენერჯი“.
დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ ჰელიოს ენერჯის პარტნიორობა გამოიხატება იმაში, რომ ის თვითონ ამონტაჟებს ნახსენებ მზის პანელებს (კოლექტორებს) და გაცნობითი ექსკურსიების სახით უჩვენებს პროცესს პროგრამის მსმენელებს და გარდა ამისა, შეიძლება ითქვას „ჰელიოს ენერჯი“ უფრო მეტად პროგრამის შემუშავებაში იყო ჩართული, ვიდრე შემდგომ განხორციელებაში იქნება.
ნინო ბაბალაშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირება პოზიცია.
ნატალია პატარიძემ, ჭიათურის მულტიფუნქციური ცენტრის დირექტორმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს ჭიათურის მულტიფუნქციური ცენტრის ასეთი დახასიათებისა და

შეფასებისთვის. მან დასძინა, რომ დიახ, ნამდვილად ცენტრის ფუნქციიდან გამომდინარე რეგიონის განვითარებისათვის, სოციალური და სხვა მრავალი პრობლემის გათვალისწინებით, მათ გაცნობიერებული აქვთ მათი როლი ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდაში.
ცენტრის სტრატეგიაა შემცირდეს შიდა მიგრაცია, ასევე, ჭიათურაში დაინერგოს ინოვაციური და მაღალანაზღაურებადი პროფესიები, რაც ახალგაზრდობას მისცემს შესაძლებლობას ალტერნატიული განათლების მიღებისა და დასაქმების მხრივ მაღაროს გარეთ, ასევე ჭიათურა აღარ იყოს მხოლოდ მაღაროს ბიოგრაფიის მქონე ქალაქი.
აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით ის შეეხო 6 კვირიან თეორიული სწავლების ნაწილს, ვინაიდან ცენტრს ყავს დონორი და მთავრობის მემორანდუმით არის ასევე გაფორმებული, რომ „ჯორჯიან მანგანეზი“ სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში დაახლოებით 10 წლის მანძილზე უზრუნველყოფს ჭიათურის მულტიფუნქციური ცენტრის დაფინანსებას, შესაბამისად, ვინაიდან კომპანიის და ზოგადად ქალაქის სტრატეგია სწორედ გარემოს დაცვაზე, ენერგოეფექტურობაზე, თვალსაწიერისა და თვითშეგნების გაზრდაზეა ორიენტირებული, ამიტომაც კერძო დამფინანსებელმა გადაწყვიტა და შემოგვთავაზა გაგვეხანგრძლივებინა თეორიული ნაწილი მეტი ცოდნის მისაცემად მსმენელებისთვის, თუმცა, თუკი საჭიროება მოითხოვს, რომ პროგრამის ეს ნაწილი შემცირდეს, რა თქმა უნდა მიიღებენ აღნიშნულ რეკომენდაციებს, ჩაასწორებენ პროგრამას მოთხოვნების შესაბამისად.
ნანი დალაქიშვილმა მიმართა დაწესებულების დირექტორს, ყურადღებით გადახედონ ეკონომიკის სამინისტროს მიერ შემუშავებულ და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებულ სარეკომენდაციო მოთხოვნების დოკუმენტს ამ ტიპის პროგრამებისთვის, რომელიც ცენტრის ვებგვერდზე არის განთავსებული. ეს სარეკომენდაციო მოთხოვნები მინიმუმს განსაზღვრავს და მაგალითად ამ პროგრამისთვის აქ მინიმუმ 70 საათი და 6 სწავლის შედეგია გაწერილი, ამიტომ ამის მიხედვით შეუძლია ცენტრს მოახდინოს პროგრამის ოპტიმიზაცია, შესაბამისად პროგრამაც მიუახლოვდება იმ მინიმალურ მოთხოვნებს, რომელზეც ეკონომიკის სამინისტროს ძალიან კომპეტენტურმა ჯგუფმა იმუშავა. მან წარმატებები უსურვა ცენტრს.
დარგის ექსპერტმა დასძინა, რომ ამას გულისხმობდა, საქართველოში უამრავი ბაკალავრია და პროფესიული გადამზადების პროგრამის შესაფერისად, რომელიც შრომის ბაზარზე დეფიციტურ „მემონტაჟეს“ მოამზადებს, მაღალგანვითარებული ქვეყნების მაგალითითაც რომ იხელმძღვანელოს ცენტრმა, ოთხი და ექვსი წელი სწავლა ვიწრო დარგის სპეციალისტის მოსამზადებლად მისი ბაზარზე დასაქმების ხელშესაწყობად აღარ არის საჭირო, მან დასძინა, რომ აღნიშნული პროფესიული გადამზადების პროგრამის მსმენელთათვის განათლების ამ დოზით მიწოდება, როდესაც ის მოდის კონკრეტული რაღაცის მონტაჟის შესასწავლად ნამდვილად ზედმეტია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ჭიათურის მულტიფუნქციური ცენტრის „ენერგიის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მონტაჟი (მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟი)“ /01673/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ ჭიათურის მულტიფუნქციურ ცენტრს (ს/კ: 412759242) განესაზღვროს საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღის ვადა პროფესიული გადამზადების პროგრამის - ენერგიის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მონტაჟი (მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟი) /01673/ - ხარვეზის გამოსასწორებლად.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა: 14:25 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების
მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების
მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
გამყრელიძე გიორგი

დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01676	გრძელი თმის დიზაინი (ვარცხნილობა)	პროფესიული მომზადება	მესამე	7	ქართული	10	ქ. თბილისი, ბურძგლას ქ. 65

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01678	თმის შეღებვა	პროფესიული მომზადება	მესამე	10	ქართული	10	ქ. თბილისი, ბურძგლას ქ. 65

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01677	ვიზაჟის მომსახურება	პროფესიული მომზადება	მესამე	8	ქართული	8	ქ. თბილისი, ბურძგლას ქ. 65

დანართი 4

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01720	ქალის თმის შეჭრა	პროფესიული მომზადება	მესამე	10	ქართული	10	ქ. თბილისი, ბურძგლას ქ. 65

დანართი 5

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01679	კაცის თმის შეჭრა	პროფესიული მომზადება	მესამე	6	ქართული	10	ქ. თბილისი, ბურძგლას ქ. 65

დანართი 6

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01680	მანიკურ-პედიკური	პროფესიული მომზადება	მესამე	11	ქართული	9	ქ. თბილისი, ბურძგლას ქ. 65

დანართი 7

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01717	ესთეტიკური კოსმეტოლოგია	პროფესიული მომზადება	მესამე	10	ქართული	20	ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ. 70ა

დანართი 8

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01718	ლაზერული ეპილაცია	პროფესიული მომზადება	მესამე	4	ქართული	12	ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ. 70ა

დანართი 9

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01716	დერმოპიგმენტაცია	პროფესიული მომზადება	მესამე	6	ქართული	16	ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ. 70ა